| | |
|---|---|
| სკოლის დასახელება | შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა |
| მასწავლებელი | ნინო ნონიაშვილი |
| ნაწყვეტი წიგნიდან | „ძმები ლომგულები“-ასტრიდ ლინდგრენი |
| სწავლების საფეხური/კლასი | მესამე კლასი |
| მისაღწევი შედეგები | მოსწავლემ შეძლოს ლიტერატურული ტექსიტის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. მარტივი მიზნობრივი ტექსტის შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება. |
| წინასწარი ცოდნა | მოსწავლეებს შესწავლილი აქვთ ქართული ხალხური ზღაპარი „ძმები“ (http://animaciebi.com/zgaprebi/zmebi.html), წინარე ცოდნის საფუძველზე დამატებით საკითხავ მასალად გამოვიყენებდი „ძმები ლომგულების“ პირველ თავს.<br>წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან ზღაპარი. შეუძლიათ დაახასიათონ ძმები და მათი ქცევები. იციან რომ აუცილებელია ვიზრუნოთ ადამიანებმა ერთმანეთზე და განსაკუთრებით მათზე ვისაც ეს ნამდვილად სჭირდებათ. |
| აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა დეტალურად გაწერა არ არის საჭირო) | მოსწავლეებთან შემაქვს კონვერტი, წერილი . ბავშვებო სკოლაში მივიღეთ წერილი, რომელიც ჯონათანმა მოგვწერა .ჯონათანს შემთხვევით თავისი ძმის დღიური უპოვია, დღიურში ჩაწერილმა ტექსტმა ჯონათანი ძალიან დააბნია. მას ჩვენი დახმარება სჭირდება. მოდი წაგიკითხავთ და ერთად მოვძებნოთ გადაჭრის გზები.<br><br>*გამაhჯობათ ბავშვებო, მე ჯონათანი ვაh. ძაღიან მჭიhჲება თქვენი ჲახმhება. შემთხვევით ვიპოვე ჩემი ძმის ჲღიუhი საჲაც ის თავის ამბავზე წეhს. ის ავაჲაა, მე კი აh ვიცი hოგოh მოვიქცე,hით ვანუგეშო ჲა ჲავამშვიჲო. აი hა წეhია ჲღიუhში.*<br>*„ჯონათანმა იცოჲა hომ მაღე მოვკვჲებოჲი. ჲაhწმუნებუჲი ვაh ,hომ ეს ჩემს გაhჲა ყველამ იცოჲა.იცოჲნენ სკოღაშიც, hაჲგან გაკვეთიღებს ხშიhაჲ ვაცჲენჲი.ვიწექი სახღში ჲა გამუჲმებით ვახველებჲი.ბოღო ნახევაh წეღს კი საეhთოჲ ვეღაh შევზეჲი სკოღაში სიაhუჲი. იცოჲნენ იმ ქაღბატონებმაც, hომღებსაც ჲეჲაჩემი კაბებს უკეhავჲა,ჲა სწოhეჲ მაშინ, hოჲესაც ეhთ-ეhთი მათაგნი ჲეჲაჩემს ჩემზე ესაუბhებოჲა, შემთხვევით გავიგოე უღმობეჲი სმახთღე.მათ ეგონათ მეძინა, მე კი თვაღჲახუჭუჲი, გატhუნუჲი ვიწექი. ჲა აი ასე, ბოღოს ჲა ბოღოს მეც შევიტყვე, hომ მაღე მოვკვჲებოჲი.“*<br>*ვეჲი თქვენს გამოხმაუhებას. მაჲღობა*<br><br>მოსწავლეები იმსჯელებენ წერილის ირგვლივ, წარმოთქვმენ სხვადასხვა აზრს შექმნილი მგომარეობის შესახებ. მოსწავლეებს ეძლევაათ დავალება. „დაეხმარეთ ჯონათანს“, როგორ დაამშვიდოს პატარა ძმა , რომ მან ნაკლებად იფიქროს სიკვდილსა და ავადმყოფობაზე.<br><br>მეორე დღეს მოსწავლეები გაგავცნობენ საკუთარ მოსაზრებებს . მოსწავლეებს გავაცნობ ტექსტს და წავუკითხავ მოცემული ამბის მხოლოდ 4 გვერდს. აქტივობა 2: თქვენი აზრით როგორი შეიძლება იყოს“ ნანგიალა“ დახატეთ სურათი. მოვაწყობთ შესრულებული ნახატების პრეზენტაციას, ვიმსჯელებთ ნახატების ირგვლივ.შემდეგ ისევ გავაგრძელებთ კითხვას და გაეცნობიან უკვე ჯონათანის ფანტაზიით შექმნილ ნანგიალას.<br>აქტივობა 3: ტექსტის სრულად წაკითხვის შემდეგ დავახასიეთებდით ძმებს დიაგრამის გამოყენებით, შევადარებდით განვლილი მასალიდან ზღაპარის გ ̑ ́ ბს „ ძმებს“<br><br><br> |

| | |
|---|---|
| აქტივობა 1 | წერილი ჯონათანისგან- მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ადეკვატურად აღიქვას ტექსტი, შეძლოს წაკითხული ტექსტის ირგვლივ საუბარი და მსჯელობა. დაინახოს პრობლემა და მოძებნოს გადაჭრის გზები |
| აქტივობა 2 | ჩემი თვალით დანახული ნანგიალა- წაკითხულიდან გამომდიარე - მიზანი: მოსწავლემ შეძლოს წაკითხულიდან გამომდინარე შესაბამისი მარტივი ნახატის აგება, ემოციები გამოხატვა და გადმოცემა |
| აქტივობა 3 | აქტივობის აღწერა / აქტივობის მიზანი<br>ვენის დიაგრამის გმოყენებით დავახასიეთებთ ზღაპრიდან: ძმები და ძმები ლომგულებს. მიზანი: მოსწავლეებმა შეძლომ მთავარი მოქმედი გმირებისთვის დამახასიეთებელი თვისებების დანახვა და შეფასება. მსგავსი და განსხვავებული თვისებების შეფასება. |
| აქტივობა 4 | ჩემი მოლოდინი- ფორმატის ქაღალდზე წინდაწინ დახატულ ხეს გავაკრავ დაფაზე, ბავშვებს დავურიგებ პატარა მტრედის ფორმის ქაღალდებს და ვთხოვ დაწერონ რამდნიმე სიტყვით მათის მოლოდინი როგორია, რა მოხდება წიგნის ბოლოს? და მაიკრან ხეზე.მიზანი: გავუღვივო ბავშვებს ინტერესი წიგნისადმი, რათა გაუჩნდეთ სურვილი წიგნის წაკითხვისა და შემდეგ უკვე შეადარონ თავიაანთი მოლოდნი წიგნოის ამბავს<br><br><br> |